სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

21 სექტემბერი, 2026 წელი

ბრძანება № 01-02/182

,,ბსუ-ს პროფესიულ პროგრამებზე **,,ფარმაცია (სააფთიაქო)"** (მე-5 დონე), **,,საექთნო განათლება"** (მე-5 დონე) **და ,,საბიბლიოთეკო საქმე"** (მე-4 დონე) სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გადმოყვანისათვის **გარე მობილობის გამოცხადების და** პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული **კრედიტების აღიარების კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ელი პუნქტის, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის №244 დადგენილების, **,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების** დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების **მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42-ნ, ბრძანების,** ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, ,,პროფესიული სტუდენტის მობილობის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 სექტემბრის №98/ნ ბრძანების, ,,2026–2027 სასწავლო წლისათვის ბსუ-ს ბაკალავრიატის, მედიცინის/სტომატოლოგიის, ქართულ ენაში მომზადების და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ანკეტა-კითხვარების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის 06 მარტის №06-01/26 დადგენილების, ,,ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე: "ბუღალტრული აღრიცხვა" (მე-5 დონე), "საექთნო განათლება (მე-5 დონე), "ფარმაცია (სააფთიაქო)" (მე-5 დონე), "აღმზრდელი" (მე-5 დონე) და "საბიბლიოთეკო საქმე" (მე-4 დონე) 2026 წელს (ერთიანი ეროვნული გამოცდები) პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 14 სექტემბრის №01-08/592 ბრძანების, „ბსუ-ს რექტორის მოადგილეთა ფუნქციათა აღწერილობის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 31 მარტის №01-02/62 ბრძანების, „ბსუ-ს რექტორის ტიტე არაშიძის ქალაქ თბილისში მივლინების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 18 სექტემბრის №01-14/549 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2026 წლის 21 სექტემბრის №1274914 და 21 სექტემბრის №1278986 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს პროფესიულ პროგრამებზე **,,ფარმაცია (სააფთიაქო)"** (მე-5 დონე), **,,საექთნო განათლება"** (მე-5 დონე) **და ,,საბიბლიოთეკო საქმე"** (მე-4 დონე) სხვა პროფესიული

საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ბსუ-ში პროფესიულ სტუდენტთა გადმოყვანის **(გარე მობილობის)** მიზნით ვაკანტურ ადგილებზე **გამოცხადდეს მიღება,** წინამდებარე ბრძანების **№1 დანართის** შესაბამისად.

2. წინამდებარე ბრძანებაში აღნიშნულ ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე **გარე მობილობის მსურველებმა** პროფესიულ პროგრამებზე გარე მობილობით ჩარიცხვის მიზნით 2026 წლის **22 სექტემბრიდან** 2026 წლის **24 სექტემბრის** ჩათვლით **წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:**

ა) **სარეგისტრაციო განცხადება,** წინამდებარე ბრძანების **№2 დანართით** განსაზღვრული ფორმის შესაბამისად შევსებული (არასრულწლოვანი/ შეზღუდულქმედუნარიანი/მხარდაჭერის მიმღები **გარე მობილობის მსურველის** შემთხვევაში - ავსებს მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი);

ბ) **პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი** (არასრულწლოვანი/შეზღუდულქმედუნარიანი/მხარდაჭერის მიმღები გარე მობილობის მსურველის შემთხვევაში - მშობლის/კანონიერი <u>წარმომადგენლის პირადობის მოწმობა,</u> ასევე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი - გარე მობილობის მსურველის **დაბადების მოწმობა** ან მეურვეობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს განცხადების წარმოდგენაზე და ხელშეკრულების გაფორმებაზე უფლებამოსილებას);

გ) **სრული ზოგადი განათლების** მიღების დამადასტურებელი **დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი** (პირმა, რომელმაც განათლება მიიღო უცხოეთში, უნდა წარმოადგინოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი - უცხოეთში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის აღიარების შესახებ);

დ) **ორი ფოტოსურათი 3X4-ზე** (მათ შორის ელექტრონულ მატარებელზე წარმოდგენილი);

ე) წვევამდელის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ან წვევამდელის სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნის დამადასტურებელი დოკუმენტი (აღრიცხვას დაქვემდებარებული გარე მობილობის მსურველის შემთხვევაში);

ვ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა;

ზ) შესაბამისი დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული **ცნობა პროფესიული სტუდენტის სტატუსის და მის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების** შესახებ (გავლილი სასწავლო კურსების/მოდულების დამოწმებული სია, არსებობის შემთხვევაში).

3. ბსუ-ში გარე მობილობის მსურველთა მიერ სარეგისტრაციო განაცხადები და დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნეს **ელექტრონულად** - ბსუ-ს ელფოსტაზე: <u>info@bsu.edu.ge</u> **ან/და მატერიალურად** - ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურში (კანცელარია): ბსუ-ს №1 კორპუსი, ოთახი №1 (მისამართი: ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35).

4. **კრედიტების აღიარების კომისიამ** (წინამდებარე ბრძანების **№3 დანართის** შესაბამისად) იმუშაოს **2026 წლის 25 სექტემბერს,** ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ადმინისტრაციულ შენობაში (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15, VI კორპუსი, მე-3 სართული, ოთახი N305).

5. კრედიტების აღიარების კომისიის გადაწყვეტილება გარე მობილობის მსურველ პროფესიულ სტუდენტს ეცნობოს 2026 წლის **28 სექტემბერს** (ქ. ბათუმი, **ლეონიძის ქ. №15**, VI კორპუსი, მე-3 სართული, **ოთახი №305**).

6. გარე მობილობის უფლებამოპოვებული პირების მიერ სარეგისტრაციო განაცხადებისა და დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, **<u>2026 წლის 29 სექტემბერს</u>** მათთან **გაფორმდეს**

პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულებები, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების **ცენტრის ადმინისტრაციაში** (მისამართი: ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15, VI კორპუსი, III სართული, ოთახი №303).

7. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უზრუნველყოს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში - ,,განცხადებები") განსათავსებელი განცხადების ტექსტის მომზადება და გარე მობილობასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება.

8. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში - ,,სამართლებრივი აქტები'' და ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი'').

9. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თამარ სირაძე), ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, შესაბამის ფაკულტეტებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორის მოადგილე,

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი **თამარ სირაძე**

,,ბსუ-ს პროფესიულ პროგრამებზე ,,ფარმაცია (სააფთიაქო)“ (მე-5 დონე), ,,საექთნო განათლება (მე-5 დონე)“ და ,,საბიბლიოთეკო საქმე“ (მე-4 დონე) სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გადმოყვანისათვის გარე მობილობის გამოცხადების და პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარების კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 21 სექტემბრის № 01-02/182 ბრძანების

№1 დანართი

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ,,ფარმაცია (სააფთიაქო)“ (მე-5 დონე), **,,საექთნო განათლება“** (მე-5 დონე) **და ,,საბიბლიოთეკო საქმე“** (მე-4 დონე), **რომლებზეც გამოცხადდა გარე მობილობა**

(სწავლა დაიწყება 2026 წლის 01 ოტომბერს)

	ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წელი (ჩარიცხული სტუდენტები), რომელზეც გააგრძელებს სწავლას, გარე მობილობის შედეგად ჩარიცხული პირები	პროფესიული საგანმანათლებლო **პროგრამის მოცულობა** კრედიტებში		პროფესიული საგანმანათლებლო **პროგრამის ხანგრძლივობა** თვეების მიხედვით		**ვაკანტური ადგილების რაოდენობა**
			ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	
1	ფარმაცია სააფთიაქო (V დონე)	2026 წლის (ერთიანი ეროვნული გამოცდებით) მიღება	**123**	**153**	**24**	**30**	**5** (ქართულენოვანი)
2	საექთნო განათლება (V დონე)	2026 წლის (ერთიანი ეროვნული გამოცდებით) მიღება	**180**	**210**	**31**	**37**	**5** (ქართულენოვანი)
3	საბიბლიოკო საქმე (IV დონე)	2026 წლის (ერთიანი ეროვნული გამოცდებით) მიღება	**94**	**124**	**18**	**21**	**5** (ქართულენოვანი)
სულ გარე მობილობით მისაღები ვაკანტური ადგილები							**15**

,,ბსუ-ს პროფესიულ პროგრამებზე ,,ფარმაცია (სააფთიაქო)“ (მე-5 დონე), ,,საექთნო განათლება (მე-5 დონე)“ და ,,საბიბლიოთეკო საქმე“ (მე-4 დონე) სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გადმოყვანისათვის გარე მობილობის გამოცხადების და პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარების კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 21 სექტემბრის №01-02/182ბრძანების

№2 დანართი

ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე **გარე მობილობის მსურველის** (მონაცემთა სუბიექტის) სარეგისტრაციო **განცხადება** **(ბსუ-ს შინაგანაწესის და სხვა რეგულაციების გაცნობის დადასტურებისა** და **პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის განაცხადი)**	
ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო **პროგრამა, რომელზეც სურს გადმოსვლა გარე მობილობა მსურველს** (მონაცემთა სუბიექტი)	
სხვა პროფესიული საგანმანათლებლო **დაწესებულების** (პსდ) **და** პროფესიული საგანმანათლებლო **პროგრამის დასახელება,** სადაც სწავლობს გარე მობილობის მსურველი	**სხვა პსდ-ს დასახელება:** **პროგრამის დასახელება:**
ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე **გარე მობილობის მსურველის** (მონაცემთა სუბიექტის) **პერსონალური მონაცემები და საკონტაქტო ინფორმაცია**	
სახელი და გვარი:	
პირადი ნომერი:	
დაბადების თარიღი:	
რეგისტრაციის მისამართი:	
ფაქტობრივი მისამართი:	
ტელეფონი:	
ელფოსტა:	
ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე **გარე მობილობის მსურველი** არასრულწლოვნის (შშმ/სსსმ) **კანონიერი წარმომადგენლის** (მშობელი/მეურვე) **პერსონალური მონაცემები და საკონტაქტო ინფორმაცია**	
სახელი და გვარი:	
პირადი ნომერი:	
რეგისტრაციის მისამართი:	
ფაქტობრივი მისამართი:	
ტელეფონი:	
ელფოსტა:	

სურვილი მაქვს სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან **გარე მობილობით გადმოვიდე** და სწავლა გავაგრძელო ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვის და ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების მიზნით **გთხოვთ გამიფორმოთ პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულება.** ამასთან, ვადასტურებ, რომ გავეცანი ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებულ ,,ბსუ-ს პროფესიულ სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმას“ და მასში აღნიშნულ ბსუ-ს რეგულაციებს, მათ შორის ბსუ-ს შინაგანაწესს, რომელიც პროფესიულ სტუდენტთან დადებული ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

ვადასტურებ ხელმოწერით: ----------

პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე წერილობითი თანხმობა

განმცხადებელი (მონაცემთა სუბიექტი) **აცხადებს ინფორმირებულ თანხმობას,** ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის და ,,ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის“ მოთხოვნათა დაცვით დამუშავდეს მისი პერსონალური მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ელფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი, რეგისტრაციის/საცხოვრებელი მისამართი, ფოტო), პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესში მონაწილეობის მონაცემები (დასწრების, შეფასების შედეგების, დიპლომის/დიპლომის დანართის დამზადებისა და გაცემის

შესახებ), აგრეთვე განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები (ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ), საგანმანათლებლო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის მიზნებისათვის.

მონაცემთა სუბიექტი ადასტურებს, რომ ინფორმირებულია ბსუ-ს ტერიტორიაზე (შესასვლელები, გარე პერიმეტრი, ეზო, დერეფნები, კიბის უჯრედები, კომპიუტერული კლასები, ბიბლიოთეკა და ლაბორატორიები) უსაფრთხოებისა და ქონების დაცვის მიზნით მიმდინარე 24-საათიანი ვიდეომონიტორინგის შესახებ, ასევე საგამოცდო სივრცეებში – ვიდეომონიტორინგის გამოცდების/ტესტირების პერიოდში განხორციელების თაობაზე, „ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის" და ვიდეომონიტორინგის წესის შესაბამისად.

მონაცემთა სუბიექტი ასევე **აცხადებს თანხმობას,** რომ ბსუ-ს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე გადაღებული მისი ფოტო/ვიდეო მასალა, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე, სოციალურ ქსელებსა და სხვა საინფორმაციო რესურსებში.

მონაცემთა სუბიექტი **აცხადებს წინასწარ თანხმობას** მისი პერსონალური მონაცემების გადაცემაზე შესაბამისი სახელმწიფო უწყებების, ავტორიზაცია/აკრედიტაციის პროცესში ჩართული ორგანიზაციებისათვის, თუ აღნიშნული აუცილებელია უნივერსიტეტის სამართლებრივი ვალდებულებების შესასრულებლად ან ბსუ-ს საგანმანათლებლო საქმიანობის ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად.

მონაცემთა სუბიექტი **აცხადებს,** რომ **ინფორმირებულია** მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ბსუ უზრუნველყოფს შესაბამის ორგანიზაციულ და ტექნიკურ ზომებს მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით.

განმცხადებელი (მონაცემთა სუბიექტი) **ადასტურებს (აცხადებს),** რომ **ინფორმირებულია მისი პერსონალური მონაცემების შენახვის ვადების** თაობაზე, კერძოდ, მისი პერსონალური მონაცემები დამუშავდება და შეინახება პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესთან დაკავშირებული (საგანმანათლებლო მომსახურება) სამართლებრივი ურთიერთობის პროცესში მონაცემების დამუშავების ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად აუცილებელი დროით, ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით და წესით.

განმცხადებელი (მონაცემთა სუბიექტი) **აცხადებს,** რომ **ინფორმირებულია მონაცემთა სუბიექტის უფლებების შესახებ,** რაც მათ შორის გულისხმობს უფლებამოსილებას, მიიღოს ინფორმაცია მის შესახებ ბსუ-ს მიერ დამუშავებულ მონაცემებზე, მოითხოვოს მათი გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, თუ აღნიშნული მონაცემები არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევით.

მონაცემთა სუბიექტი **აცხადებს,** რომ **ინფორმირებულია** პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე შეუძლია მიმართოს ბსუ-ს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს, მათ შორის, ელფოსტაზე: mariam.mamuladze@bsu.edu.ge

მონაცემთა სუბიექტი აგრეთვე ინფორმირებულია, რომ მას აქვს უფლება ნებისმიერ დროს, ყოველგვარი განმარტების გარეშე **გამოიხმოს წინამდებარე თანხმობა,** რის შემდეგაც ბსუ შეწყვეტს მონაცემთა დამუშავებას, თუ არ არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამუშავების სხვა საფუძველი.

ვადასტურებ ხელმოწერით: ----------

განცხადებაზე თანდართული დოკუმენტები

1. გარე მობილობის მსურველის პირადობის მოწმობის ასლი - (-- ფურცელი)
2. განმცხადებლის კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი - (-- ფურცელი);
3. კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (გარე მობილობის მსურველის დაბადების მოწმობა/კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი/სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა/სხვა). (- - ფურცელი);
4.

განცხადების წარმოდგენის თარიღი (რიცხვი/თვე/წელი)	
გარე მობილობის მსურველის **ხელმოწერა:**	
გარე მობილობის მსურველის კანონიერი წარმომადგენლის (მშობელი/მეურვე) **ხელმოწერა**	

,,ბსუ-ს პროფესიულ პროგრამებზე ,,ფარმაცია (სააფთიაქო)“ (მე-5 დონე), ,,საექთნო განათლება (მე-5 დონე)“ და ,,საბიბლიოთეკო საქმე“ (მე-4 დონე) სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გადმოყვანისათვის გარე მობილობის გამოცხადების და პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარების კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 21 სექტემბრის №01-02/182 ბრძანების

№3 დანართი

ბსუ-ს **პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ფარმაცია (სააფთიაქო)“** (მე-5 დონე)
პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარების
კომისია

ა) **მამუკა გოგელია** - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი;
გ) **ეთერ ჯაყელი** - ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიული განათლების მასწავლებელი, პროგრამის ხელმძღვანელი;
დ) **მზია ბაკურიძე** - ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიული განათლების მასწავლებელი, პროგრამის ხელმძღვანელი;
ე) **თამარ ბარათაშვილი** - ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიული განათლების მასწავლებელი.

ბსუ-ს **პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,საექთნო განათლება“ (მე-5 დონე)**
პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარების
კომისია

ა) **მამუკა გოგელია** - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი;
გ) **თამარ მხატვარი** - ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ პროფესიული განათლების მასწავლებელი, პროგრამის ხელმძღვანელი;
დ) **ინგა კილტავა** - ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ პროფესიული განათლების მასწავლებელი, პროგრამის ხელმძღვანელი;
ე) **ლიანა ლომაძე** - ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ პროფესიული განათლების მასწავლებელი.

ბსუ-ს **პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,საბიბლიოთეკო საქმე“** (მე-4 დონე)
პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარების
კომისია

ა) **მამუკა გოგელია** - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი;
გ) **ნათია ბურჭულაძე** - ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საბიბლიოთეკო საქმე“ პროფესიული განათლების მასწავლებელი, პროგრამის ხელმძღვანელი;
დ) **მერი კონცელიძე** - ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საბიბლიოთეკო საქმე“ პროფესიული განათლების მასწავლებელი;
ე) **მზევინარ ხალვაში** - ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საბიბლიოთეკო საქმე“ პროფესიული განათლების მასწავლებელი;